კვირა, 13 დეკემბერი

ფასი 10 კაპ.

მეთოლახი

და სალამური

№ 27

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

მიილება ხელის მოწერა 1910 წ.



ქალბატონებო და ბატონებო!
გოხოვთ ინახულოთ ეგზო ...ბაში:
ორს ენერგიულ „ჭეშმარიტ რუსსა“,
მოუმწყვდევითა ურია შკაში.

და რადგან ი...ი, ნგეულებრივთ,
სიდარიბემ წელში მორკალა,
ფეტენ ვიდრემდინ „ბატრიოტებსა“
არ ულალატებს მკლავებში ძალა.

მაგ ამ შესდეთ! აი ეს მიდით
მტირედ კაბერე მე ებრალი,
ანუ შეეთ ესოქეთ, კაბმარეთ წელში,
ჯიბეგ კაუჩნდა მეს სოფანელი.

ბატრიოტებიც ეტებ კოტლენ,
საკუთარ თვალებს არ უჯერებენ,
და, ძველებურად, ერთმოდნიკის წილ
მეუტებსაც ალარ მოიდერებენ.

ეს კვლავ ნაკბერ ბატარა მიდსა
არ ეკაშარ კარეკ ხინს ბარი
და სასწაულიც წარმოგვიდინა:
ურია ცხლა ეტებ ბასკირა!

ბატრიოტებო? თითონაც ხედავთ
ინა ვერ ასწერს ესთ თავლებლობასს!
მაშ კაუმარჯოს სათაკანებელ
ჭეშმარიტ-რუსულ ბატრიოტობასს!

ეშმაკის ინტერვიუ

სამსონ ფარცხალავასთან

ახირებული კია სწორეთ! ძალიან კარგათ ვიცი საქმის ნამდვილი მდგომარეობა, მაგრამ ძველი ჩვეულებისამებრ მაინც უნდა მიხვიდე, მიესალამო და მიუსამძიმრო ადამიანს, მწუხარებაში ჩავარდნილს და მგლოვიარეს. მხოლოდ გუშინ შევიტყვე, რომ ქ. შ. წ. კ. გ. ს. გამგეობამ ითათბირა, ითათბირა და საზოგადოების წიგნის მაღაზიაში მომხდარ „პატარა უსიამოვნობის“ მიზეზათ, სხვათა შორის ბ-ნი სამსონიც აღიარა. სამწუხაროა ეს მოვლენა, მით უმეტეს, რომ მდივანი გამგეობისა ერთი შეეწირა საქვეყნო საქმეს.

— გამარჯობა! შეიძლება შემოვიდე? შევეკითხე ცნობილ საზოგადო მოღვაწე ლობჯანიძესთან მოსაუბრე მდივანს.

— ოი არამც დაუნახიხარ კაცს! ჩუმათ ჩაილაპარაკა სამსონმა და თანაც ხმა მაღლა დასძინა: მობრძანდით, ძლიერი ვიწროობაა, მაგრამ რა გაეწყობა, მობრძანდით!

— იქნებ დაგიშალეთ რამე? ბოდიშს ვიხდი...

— არა ბ-ნო ნუ სწუხდებით, ნუ სწუხდებით. აგერ ამ ჯაბუკს ველაპარაკებოდი ზოგიერთ საზოგადო კითხვებზე.

ლობჯანიძემ სათვალები შეისწორა, თავი მაღლა ასწია და მედიდური სახის გამომეტყველებით მხოლოდ ერთხელ გადმომხედა. ვერ მოასწრო მეორეთ გადმოხედვა, თორემ ალბათ არც ეგრე მომიძულებდა, ვინაიდან ამ დროს წიგნის მაღაზიის წინ ვიღაც მანდილოსანმა გაიარა. ახალგაზრდა მეცნიერი, ელვის სისწრაფით წამოიჭრა, ინვენტარის წიგნში ჩასაწერათ ჩამოლაგებულ ბიუსტებს ფეხი წამოკრა, აქეთ-იქით მიფანტ-მოფანტა და უცებ ქალბატონის ხელებს დაეცა. ხუთ-გზის მოწიწებით ეამბორა მოძველებულ ხელთათმანს მარჯვენა ხელისას და საბრალო ქალი მხოლოდ მაშინ გამოერკვა. განცვიფრებაში მოიყვანა უცნობი ჯაბუკის ასეთმა უქცევრდომილესმა გრძნობებმა და შესამუსრად ამართული ქოლგის ტარი ისევ დაუშვა. ლობჯანიძემ მსწრაფლ ბოდიში მოიხადა: ნაცნობი მეგონეთო და ინციდენტი მშვიდობიანათ გათავდა. ჩვენ კი ძლიერ გვესიამოვნა მარტოთ დარჩენა.

— ჰო, იმას მოგახსენებდით! თქვენ რა შვაში ხართ, რომ სადღაც წიგნის მაღაზიაში, შენ ხარ ჩემი ბატონი, 6 ათასი მანეთის წიგნები დაიკარგოს?

— რას იზამ ბ-ნო ეშმაკო! ხომ მოგეხსენებათ მდივანი ვარ ამ დასაქცევში. ურიცხვი თავსატეხი საქმე მაქვს, ათასი საწერი, ათი ათასი პასუხგასაცემი, ასი ათასი მისაღები, მილიონი წასაკითხავი და ჩასაწერი; აბა საიდან უნდა მედევნებია თვალყური წიგნის მაღაზიისთვის?

— აკი მეც მაგას არ ვამბობ?! ერთხელ შემოვიარე შემთხვევით და მთელი თფილისის უსაქმო ქუჩათ-მზომელები სულ აქ, ამ თქვენს „ვიწრო“ კანტორაში ლაზღანდარობდენ.

— და ეს განა ერთხელ? რასა ბრძანებთ, ეს სულ მუდამ ჟამს ასეა. აქ საქმის გაკეთება ყოვლად შეუძლებელია, ყოვლად მოუხერხებელია. ვისაც აქვს, თუ არა აქვს საქმე, ყველა აქ მოეჩხირება.

— ეროვნული კლუბია, თქვე დალოცვილო!

— თქვენ რა გიჭირთ, ყველაფერს ხუმრობაში ატარებთ და ზოგი ჩემი იკითხეთ. თუ რამე წახდა, სამსონი, სამსონი და სამსონი. ოჰ მომცა ერთი სამსონ ძლიერის ღონე, რომ სულ ჩამოვანგრიო ეს ქარვასლა.

— მართლაც და ცუდ გეგმაზეა აშენებული!

— არა, მითხარი ერთი თქვენი ღვთის გულისათვის, შეიძლება კაცმა ამდენ ხიბაკ-ხუბაკს ინვენტარის წიგნი შეუდგინოს? ხომ სულ დაიმტვრა ჩაწერის დროს?

— შე კაი კაცო!! ერთი არ გადარჩება თქვენ სიყმესა ვფიცავ! მეტადრე რაც გასატეხია. ან სად გაგონილა ინვენტარის წიგნი ასეთ დაწესებულებაში? „ქანშინწილკანგანსანი“ ჩვენი ერთად ერთი სიმპატიური დაწესებულებაა.

— რას ამბობ კაცო, რა დაწესებულებაო?

— როგორ თუ რა! რა და ჩვენი „მატიცა“ ჩვენი „ქანშინწილკანგანსანი“!

— კაცო, რა არის ეგ „ქანშინწილკანგანსანი“?

— ოოო... ბევრს რო გაიგებთ, აღრე დაბერდებით! ახალგაზრდა კაცი არასოდეს არ უნდა ცდილობდეს ბევრის გაგებას. აი ამ მოსაზრებით ძლიერ კარგი ქენით, რომ მესამე რევი'ია უარყავით. ვინ იცის რაებს არ გაიგებდით და მაშინ ხომ სულ უცებ დაჩაჩანაკდებოდით?

— ვერ მივართვით! ჩვენც თავები გვაბია მხრეზზე! ჩვენც კარგა ვიცით „კიბორჩხლები სადაც აკეთებენ ზამთარს.“

— ძლიერ სასიამოვნოა მე და ჩემმა ღმერთმა!

— რას ამბობ კაცო, აქ რო ამას ინვენტარი შეუყენოთ, მერმე ვინმე უსაქმურმა ხელს გააყოლოს და კიდევ ალაოში გამატარონ?? არა, ძმაო, არა!!

— ჰო და მე თქვენ მოგახსენოთ უსაქმონი ცოტანი შემოდიან! კიდევ კარგია წევრი თუ წაიღებს მაინც!

— რის წევრი? წევრი აქ ორი-სამი არ შემოდის. ამდენი წევრი კი გვყავს? სულ რაღაც რამოდენიმე სული ბოგინობს ამ ქალაქში.

— მერე რატომ არ გინდათ თქვენ, რომ ბევრი გყავდეთ წევრები? შარშანაც და წელსაც თქვენ ამბობთ რეჩებს საწევრო ფულის შემცირების წინააღმდეგ.

— ეშმაკი ვარო ამბობდა და ასეთ უბრალო მოსაზრებას ვერ მიმხვდარხარ! კაცო, ვინ ურჩევს კაცს: აი ის ტოტი, რომელზედაც შენ ზიხარ და ღუღუნობ, სწორედ ის ტოტი მოხერხე, რომ ძირს ჩამოვარდეო? არა, ვინ ურჩევს ამას თავისს მეგობარს? და რომც ურჩიო, გიჟი იქნება დაგეთანხმოს? ჩვენ აქ ბევრ სხვა რამესაც ვიმიზეზებთ, მაგრამ ყველაფერი ეს სხვათა შორისო, რო იტყვიან ხოლო უმთავრესი კი ტოტის საკითხია.

— მაშ ახლანდელი გამგეები „ქან'შინწილკანგანსან"-ისა არ დასთანხმდებიან ამაზე?

— არას ვამაოჩვენობით!!

— მაშ მუდამ ორმოცდა ათი წევრით უნდა იბოგინოს საკოდავმა?

— „სულ არარაობას ცალუღელა ხარი სჯობიაო''! ისა სჯობია 50 გვყავდეს და ჩვენა გვყავდეს, ვიდრე ათასობით იყოს და გარეშე ჩვენსა.

უცებ კარები შემოიღო და რამოდენიმე ახალ გაზრდა შემოიჭრა. ეტყობოდა გოთუას ახალ პიესაზე კამათობდენ. ერთი ამტკიცებდა მთელი „დრამა'' ს. ყიფიანის სცენებიდან არის მოპარულიო. მეორე ამბობდა ყველაფერი საკუთარის ნიჭით არის შედგენილიო, მესამე კიდევ სხვას და ყველას საერთოდ დიდი კმაყოფილება ეტყობოდათ. მე საჩქაროთ გამოვეთხოვე ჩემს ძვირფას მასპინძელს, გვერდთ ჩამოვუარე კამათში გართულ ქართველ ახალგაზრდებს და მშვიდობიანათ გამოველ ქუჩაში.

ეშმაკი.

მთვარეს.

ცის კაბადონზე, მედიდურათ მისტურავს მთვარე,
დამის მნათობი, საყვარელი, შუქ-მოელვარე...
ძირს, დედა-მიწას, ნაზათ დასტქერს, ოფენს სხივებსა
ეალერსება ტრემულ-მანაწურს, კანაწამებსა.
მინდვრის ყვავილებს სუსხით დამზრალთ, ძირს კანართხუელებს,
ქარის კათედილთ, სანახევროთ მტკვრით დამარხულებს,
თავს დასცემენ ბეთ კეთილი ჭირისუფალი
და ასულდგმულებს... გზა-დანეულთ უსწორო თვალი.
ეჰა, ნაბრალში გულ-ხვიადმა ჩაქათქათა,
თითქოს ჭკითხვალ: ალდგრემილი ის არი რათა?
და, იმის ბუჩქსარს, გულ-ჩათხრობილს, მგლოვიარესა
სხივებს აქარგავს თვალ-წარმტაცათ მოელვარეს.
ეგერ ქალაქს გაუსწორდა ის მიმინებულს,
მწარეთ მოქანცულს, დიდურ შრომით დაავადებულს
და ჩაეხვია... კანათა შრომის ბაზარი,
სად ისმის მარად დამშვრალთა ბედოვა და ზარი.
სად იყიდება ფულზე კაცის სისხლი და ოფლი,
ნორჩი ძალ-დონე, სიცოცხლისა ტკბილი წამები,
სად თვით სხეულსა, ფას-დაუდებ უმანკოებას,
ურცხვათ ჭიდიან საყვარელი თვით ჩვენი დები.
და კვალად ნულ ნულ გამოსტაცა სხივები ქალაქს,
ადამიანთა ოფლით ნამულს, სისხლითა ნალაქს
და დასავლისკენ მედიდურათ იბრუნა ზირი,
მედიდურ-დინჯათ ჩასვენა ქვეყნისა კეზირი.

—

მთვარეს, მნათობო! რად აქცია ზურგი სოფელსა
კაცთა სიავით ოხრებულს, ჭირში მოოფელსა?
ველ-მინდორს კაძრცვილს, გულ-სკვლავად კატალებულს,
დამზრალ ყვავილებს, კათელიდებს და ლობლებულს?
მოგწყინდა განა ჩვენი ეოფა შესაზარელი,
კმირების სისხლით მოქარგული ცხოვრების ველი?
სირცხვილი მთვარეს, დამის კეზირო, ქვეყნის ნათელო,
ბოეტთა გულის მამხიბვლელო, გრძნობათ ამშლელო
შენ კაქეტი ამა სოფლის ხვედრსა მწარესა,
და მიიმალე... შორს... შორს სადაც უცხო მხარესა.
ოჰ მთვარეს, მთვარეს!..

ნ. ჩხიკვაძე.

ასალი ამბები.

ქველმოქმედება. თფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის პედაგოგიურ „იადროს'' კეთილი საქმე განუზრახავს. ანგარიშის გაკვეთილებზე ბავშვებს „წერა-კითხვის საზოგადოების" მაღაზიაში წაიყვანენ და ანგარიშის შესასწავლათ რვეულებს ათვლევინებენ. ამ, მართლაც რომ საუცხოვო, მოხერხებით გადაწყვეტილია ორი კურდღლის მოკვლა: ჰამაც მოწაფეები ანგარიშს ისწავლიან და ჰამაც მუდმივი რვეიზია იქნება. ამასთანავე გადაწყვეტილია გაკვეთილებს დაესწროს გამგეობის წევრი ფ. გოგიჩაიშვილი.

უბრალო შიში. როგორც გავიგეთ, პარიზში მყოფ მგოსან აკაკის, მხოლოდ ახლა გაუგია, რომ წერა-კითხვის მუზეუმის ნივთებს „წიგნებში" არა სწე-

რენ. მგოსანს უფიქრია: ვაი თუ ჩემი საიუბილეო საჩუქრები ვინმე გარეშე პირს ჩაუვარდეს, „ინვენტარის წიგნში“ ჩასაწერათო. დავარწმუნებთ პატივცემულ მგოსანს, რომ შიში ყოვლად უსაფუძვლოა, ვინაიდან „ქანშინწილკანგანსანის“ საზოგადოება ისეთი დაწესებულება არ არის, რომ იმისი ნივთების გაფლანგვა ვინმემ იკადროს.

შ ა რ ა დ ა.

ნუ თუ იქნება ამ ქვეყნად
ქართველი კაცი, ხორცსხმული,
რომ არ იცოდეს ლობიოს
ნაყოფი, მწვანეთ მოსხმული??!?
არა მგონია, რადგანაც
ეს მას არ ეპატიება
და სხვა ბოსტნეულ ჯიშებში
მაშ აღარ გვინდა ძიება.
აიღეთ ახლა ეს სიტყვა
და ორ ნაწილ თ გაჭყავით;
შემდეგ, შუბლს თითი მიიდგით,
მცირედი ხანი დაჭყავ-ოთ
და მოიფიქრებთ, იმათგან
თუ ჩვენ რომელი გვჭირია,
რომ შვას ქვემოთ-ა, უთუოდ
მოსასპობ გასაწირია.
ნაცვლად, შენახულს მოაბით
ქორონიკონის ჭავლები:
სამი მარცვალი ლობიო
სამ გზობის განამრავლები
და ნუ შესდგებით, ჯერ კიდევ
ბევრი გზა გვიძევს სავალი,
(ძნელი აქვს ზოგ-ზოგ შარადას
ასავალ-გამოსავალი)!
მაშ გამონახეთ ორგანო
სიტკბო სიმწარით ქებული;
არც ძლიერ გრძელი ვარგაო,
არც მეტათ დამოკლებული;
კეთილსაც სთესავს, ბოროტსაც
ვის როგორც გაეხერხება,
მაგრამ ბოლოზე, უთუოთ
არ აწყენს ხელის შეხება
შემდგომ მოახლის სახელსა
დოსტაქარობა სჭირდება,
თუ შუა გაჭკვეთ, არჩევა
არც ეგრე გაგიჭირდება,
რამეთუ ორივ ნაწილი
არს ერთგვარ მოსახმარელი
და იმით არა დაშავდეს
თქვენ აირჩიოთ რომელი!!
და რომ შარადას კიდემდე
შევუკრათ მაგრა თუღები,
უნდა ვიპოვოთ ლითონი
რკინისგან შენადუღები.
შუაზე გავსკრათ, მეორე
ნაწილი განზე ვისროლოთ,
ხოლო პირველი, ხელ მარჯვეთ
საქმეზე წამოვიშველოთ.
შეხედავთ, ნახავთ მიგვაკლდა
მხოლოდ ერთიღა ანბანი,
პირველი არის სწავლის დროს
პირ გასაღები საგანი.
ვისაც გული აქვს საგულეს
და საშარადო გონება,
მას ეს უმსგავსო სახელი
უთუოდ გაეგონება.
იტყვის: „გავლანძღავ იმ ეშმაკს
გაზეთს არ ეპატრონება!
ნუ თუ სხვა გვარი შარადა
კოლოს არ მოეგონება,
რომ ამ უმსგავსოებით
არ ძოჭკლ-ას ჩვენი გონება,
ხომ იცის მისი წაკითხვა
არავის მოეწონება“?
მართლაც რომ ესე შენიშვნა
გულზე არ მომეფონება,
თითონაც ბევრი ვიფიქრე
(ჩემს სულს მიეცეს ცხონება!)
მაკრამ არ იქნა, სხვა გვარის
ვერ შევძელ გამოგონება.
ეს გმირი „დრამატურგია“,
მწერლობას დაემონება,
(თუმცა მცირედი ჭქონია
ზემო სართულში ქონება)
ერთი დასწერა, მაგრამ
„ოტელოს“ შეეწონება
პატარა „ზუბრუკანებსა“
ტაში არ დაეყონება
ქართველსა მსახიობებსაც
გაუხალისა გონება.
ვინც აქამომდე ვერ ახსნა
ხელობა დაეწუნება,
არც აწყენს მცირეოდენი
მათრახის კუდის ცხუნება.

ქოლო.

გურული სცენა.

საშობაო მზადება.

— რას შობი ზეხა? საშობოთ ხაზირობ ხომ შენებურა?

— დაგწყევლო რაფერ დაგწყევლო, რაფერ გაგიმეტო და დაგლოცო, რეიზა დაგლოცო, ყბას რეიზა მიქცევ? ორი დღით უფროსი კი ვარ შენზე მაინც, სხვა რომ აფერი იყოს.

— რა იყო ბიცოლა, რამ მოგიკიდა ცეხლი?

— რა იყო, ვითამ არ იცი?

— არა, შენ არ მომიკვეტე, აფერი არ ვიცოდე!

— რაფერ ჩივი ციცავ, ჭურში ხომ არ ხარ, რომ აფერი იცი? ქვეყანაზე ქრისტეს ტირილია, იმისანი დროია ადამ კოკობაზე არ ყოფილა, თა-თრობა მოგვიბრუნდა, თვალი ცისკენ მაქ კუდიან სისხლისფერ მასკვლავს დევინახავ მეთქი—დიდ ქარსაც მიველი და ქარაბოტსაც, მიწის ძვრასაც და ქვეყნის რღვნასაც—ბარეღმაი დეიქცეს და ამუარდეს აგი ქვეყანა, ნეტაი მუცელში გავწყალებოდი ნენას, ნეტაი ჩემს მაგიერ გველის წიწილი გასჩენოდა და მე აგი დროი არ მომსრგბოდა. ასე რაფერ ვედირიენ, ასე რაფერ გადიშალენ, ასე რეიზა გამეისხეს ძაღლის ხორცი, ასე რაფერ იფიქრეს მთელი ქვეყანა ჩალითაა დახურული, რასაც გვინდა იმას ვიზამთო...

— ბიცოლა, ჩემდა ზიარით თუ რამეს ჩივი, მეც მიმახთინე, თვარა მოშლილ ღელის წისქვილსავით რომ მოსდექი—მთლათ დევიბენი.

— დაგაბნია ჩემა სალოცავმა. ამხელა დუნდრუცი თვერ მიხთი, არამცაა შენი დღეი მოსრება .. დღემანდელი ამბავი ჩემა მტერმა ვერ მიხთა, დიდი ამას ჩივა და პაწეი, ყველაი ტირის და მოთქვამს .. ჩვენი ქონება რომ კანცელარიაზე გაახიბაკეს ვერ შეიტყვე? ძაროში ქათამი არ დაყენეს, სასუქში ღორი, ბაგაზე ძროხა და ხარი, ნალიაში სიმინდი, ხულაში ღომი, ჭურში ღვინო, ოჯინჯალზე ჯაჭვი, კუთხეში კარდალაი, ლოგინზე ნოხი და ფარდაგი, საბანი და ბალიში—წალდი აღარაა და ცული. სული ამოხთა იმას, ვინცხამ ჩვენ ამ დღეში ჩაგვაგდო... მერე რეიზა, რაცხა მოსახმარი მაინც იყოს, მე რომ გაჭივრებულ სულს ამომახთენენ, გაჭივრებულს მაინც ხთებოდეს რამე. ხუცის დრამიზა, აგია სამართალი? ამას ქვია ქრისტეს მაგიერობა? თათარ სტრაჟნიკს ქე ვეცოდვებოდით სოფელს რომ ახიბაკებდენ და ხუცებმა არ შეგვიცოდვა! კი მოგვიღლიტეს გულიდგან მარა ისე რავა მოვკეტები, რაცხა მაგინის ამბავს არ შამივესწოო, ისე რავა იქნება, როიცხა ჩვენც არ დავჭირდეთ.

— შენი შვიდობა, კაი და კეთილია! რაცხა კაცების ამბავს ჩივოდი შეგონა, თვარა ხუცებიზა თუ მ-იცლიდი ქმარ შვილიანი ქალი, აგი არ მიფიქრებია სტორეფ!..

პიკნა.



ვარსკვლავსა.

—

ლაჟვარდის შვილო, ცას მოციმციმევ,
მინდა რამ გკითხო, დამიგდე ყური,
თანამიგრძენი შენ მაინც ბედკრულს,
გამიწიევი სიკეთე ძმური.
აქ ვერვის ვანდე გულის ჰუხი,
ვერც ადამიანს, ვერც მდელოს, მთა-ბარს,
თანაგრძრობის წილ ზოგი დამცინის,
ზოგი შხამს მაწვდის, ზოგი კიდევ ძმარს...
მაშ ყური მიგდე, შენი კვნესამე,
შენ მაინც მიგრძვნე, შენ გეთაყვანე!
ჩემი გულის თქმა შენათ იმჩნიე,
თავს შემოევლე, მას ეაკვანე...
რაა რო მტანჯავს, ისრათ მესობა,
ძირს, ძირს მეწევა და მაქვესკნელებს?
აზრს ფრთას უკვეცავს, გრძნობას მიმარხავს
და დაუნდობლათ მაკვნეს-მანელებს.
ვისი ბრალია? ნუ თუ დემონის
თავს კარმიდამიან რომ დახარხარებს...
ბნელეთს რო ეტრფის და სინათლეს კი
აღარ გვაჩვენებს და ფრთებს აფარებს?
იქნებ ბორკილის ჩხარუნი იყოს
სევდის მომგვრელი, გულის იარა;
ან იქნებ კვნესა დედის, სატრფოის
სამშობლო მხარე რომ დაიარა?
მარქვი, შუქურო, ნუ დამიმალაკ,
გულწრფელი სიტყვა ჩამომიძახე!
შენც არ მიმტყუნო, არ მიღალატო,
შენც არ დამიგო მზაკვრული მახე!.

მაშ კიდევ მკითხავ: მეგობარს ცბიერს
ხომ არ უძღვნია ჭმუნვის სამსალა,
გულ წრფელ სიტყვაზე რომ გაიცინა
და უნამუსოთ გამყიდ გამცვალა?..
ან კვნესას მშრომლის, ხუნდ დადებულის,
ან შავბნელ საკანს, ცოცხალთ სამარეს,
ან თალხით მორთულ და სასო მიხდილს
ერთ დროს ბედნიერ სამშობლო მხარეს?
მარქვი, შუქურო, რამ მიძღვნა ჭმუნვა?
პასუხი გამეც შენ გეთაყვანე,
ჩემი გულის თქმა შენათ იმჩნიე,
თავს შემოევლე, მას ეაკვანე!...

ვ. მალაქიაშვილი.



ორი ეშმაკი.

— ტი, ბრატ, ნა პორტოვოი გოროდ ბათუმ ბივალ?

— კაკ ჟე, ბრატ, ბივალ.

— ჰო და ახალი გაზეთის — „ბატუმსკია ვესტის“ რედაქციაში ხომ შედი?

— შენც იცი, რომ მე გაზეთები მიყვარს და აბა ბათუმის ახალ გაზეთის რედაქციას უნახავს რას გავუშვებდი?..

— ამბობენ, იქ ახალი რედაქტორია, კაი რედაქტორია, უპრავის კაციო.

— მაშ... მაშ... მააშ... ნამდვილი რედაქტორი, მშვენიერი... სწორეთ ისეთი, როგორიც ამ დროს შეეფერება. შენ უნდა ნახო, როცა ის საგაზეთო მასალას კითხულობს, მაშინ რა მდგომარეობაშია თუ საგაზეთო წერილში რიიმე.. აი ისეთი, პროგრესიულს რო ეძახიან, მთავრობას რომ არ მოსწონს, — ნახა, — ცეცხლივით აენთება და მის სიბრაზეს ვერც ჩემი კალამი ასწერს და ვერც ჩემი ლამაზი პირი იტყვის.

— აი, ვუცხონე მამა!.. ბიჭი ის ყოფილა..

— ბიჭი და მერე როგორი!.. ერთი ასეთი წერილი აიღო და მის ავტორს ზედ კაკალ თავზე გადაახია..

— როგორ თუ თავზე? ზურგზე რათ არ გადაახია...

— აბა შენგან არ მიკვირს? რათა ხარ ასე მიუხვდენელი?!. ზურგი, ბრატ, აქ რა შვაშია. ეს წერილი იმ ავტორის თავს შეექმნა და თავზედაც მიტომ გადაახია

— ყოჩაღობა უქნია..

— მაშ. . მაშ... ყოჩაღობა და მერე როგორი?!. ერთი წერილი გაპაროდა, ბათუმის ოლქში ერობის შემოღების „სოვეშჩანიეს“ გამო დაწერილი, წერილს თურმე ცოტა პროგრესიული სუნი უდიოდა. გაჯავრებულიყვენ და ამიტომ რედაქტორი კაი 300 ქანქარით დაეჯარიმებიათ. ამის შემდეგ თურმე იწყეს ფორთხვა და მერე რანაირი ფორთხვა. . ორი ვეებერთელა ფელეტონი დაბეჭდეს — ერობის შემოსაღებათ აკაურმა ადმინისტრაციამ ბევრი იშრომა, მარა რა ექნა, აჭარლებმა არ ინებეს ერობაო.

— მაშ რედაქტორი დიდი ტვინის კაცი ყოფილა...

— და მერე როგორის?.. ამბობენ, თვითმართველობის მოღვაწეთა ტვინი, ერთად აღებული, რედაქტორის ტვინზე 3 გირვანქით ნაკლები გამოვიდაო...

— იმას კი აღარ ამბობენ — ვინ აწონაო?!.

— ამბობენ, როგორ არ ამბობენ... ლომბარდში ძვირფას ნივთების შემფასებელმა ფეტვად ჯიანმა ასწონაო.

— სხვა ვერა ნახე რამ, ბათუმში კეთილ-აღსანუსხავი?. .

— ბევრი, ძმავ, ძალიან ბევრი. მარა აბა ახლა ყველას აქ ხომ ვერ მოგიყვები.

— პოჟალუსტა, ერთი რამ კიდევ მითხარი.

— სამოქალაქო სასწავლებლის გვერდით გავიარე. მთელი კლასი ყვიროდა. ზდრავია „ჟილაიმეაში პრევოსხოდიტელსტვოოოო!“

— რა ამბავიაო?..

— ამბობენ ოკრუჟნოი ინსპექტორი კი ჩამოდისო და როცა სკოლაში შემოვა და მოგვესალმება, ასე უნდა მივაყვიროთო. თუ გვითხრა: ხარ

ში, დეტი!..—მაშინ ასე უნდა ყვირილიო: ,,რაუ სტარასტა ვაშე პრეეოსხოდიტელსტვოოოო''.. თუ გვითხრა: პროშჩაიტე, დეტი!—მაშინ სხვანაირად უნდა ყვირილიო: „სჩასტლი ვაგოპუტი, ვაშე პრეეოსხოდიტელსტვოოოოო"!.

— მერე ნეტავ თუ ესტუმრა იმ სასწავლებელს ამნაირად შესაყვირები კაცი?..

— ესტუმრა თურმე და როცა შეუყვირეს, ერთ საეენზე შემხტარიყო შიშით. —რატომ ყვირით ასეო, ეთქვა — ცირკულიარში ასე სწერიაო—ეპასუხნა სკოლის ინსპექტორს.

-- მერე ჯილდო არ უნდა ასეთ ინსპექტორს?..

— სხვებმა რაც უნდათ ის უძღვნან, ხოლო ჩვენ კი უსათუოდ უნდა გავუგზავნოთ ერთი მოზრდილი მათრახის კუდი წარწერით: ,,за усердіе''.

— კაი აზრია, უსათუოდ გაუგზავნით.

კაჟი.

ჭიათურის ცის ტატნობზე.

უნდა მოგახსენო, ჩემო ეშმაკო, რომ ერთ საქმეში მე და შენ ერთობ დამნაშავენი ვართ. ცოდვა გამეღავნებული სჯობია, და უნდა გამოვტყდეთ. საქმე იმაშია, რომ ჭიათურა, რომელიც ყიამდე ავსილია საჩვენო საქმეებით, ერთობ მივიწყებული გვყავს. ეს მიუტევებელ ცოდვათ მიმაჩნია და იმედია შენც დამეთანხმები. აქ, ჭიათურაში, ანგელოზთა სრული ბატონობაა, ჩვენ კი გავჩერებულვართ, სამკალს არა ვმკით. მაშ მე დღეიდან ვიწყებ ამ საქმეს, სმენა იყოს და გაგონება!

საეშმაკო ფიქრებით დატვირთული ვსეირეტდი ჭიათურის ცის ტატნობს. იქაურობა მოხანკალებული იყო, ერთი ვარსკვლავიც არ ბრაწვადა თვალს. უცებ ამ უსაზღვრო ეთერში (პიეტი ვარ მაშ რა ვარ?) შავათ აღიბეჭდა ,,ნული'', დიახ არაბული ნული. მე იმ წუთსვე მივხვდი რაშიაც იყო საქმე. ნული ნულიაო, იტყვი ეშმაკო, მეტი არაფერიო, მარა მე რომ დიმიტრი მერეჟკოვსკი ვიყო, ან კიდეე ჩვენი რობაქიძე, უთუოდ საქვეყნოთ დავამტკიცებდი, რომ ამ ციფრს რაღაც მისტიკური ძალა აქვს. წარმოიდგინეთ, თქვენი ჭირიმე. შემდეგი: ვსთქვათ ხაზი დაიწყო წერტილ ა—დან, მოუკვარაჭინებს, მოუხოვს და კიდეე ამ ა—ს უერთდება! ბატონო, შეუერთდეს ბ-ს, ვ-ს, რაღა კიდეე აქ მოდის? მარა აქ უთუოდ რაღაც უჩინარი ძალა მოქმედებს.. დიახ, უჩინარი! მარა წარმოიდგინეთ თქვენ, რომ ჭიათურაში ეს ძალა აღმოაჩინეს, დიახ, ეს რაღაც ზენაარი, მიუწდომელი ძალა აქ აღმოჩენილ იქმნა. და არ იკითხავთ ვინ აღმოაჩინა? მადნის მწონელებმა და პოდრაჩიკუნებმა. რაფერ, როგორ მოხდა? მაშ კიდეე სმენა. ვსთქვათ პოდრაჩიკუნა გაქექილაძე მივიდა მწონელ გაფხეკილაძესთან და ეუბნება: მე შენ მოგიტანე ეს ფუთ ქვას და მიიწონე, მარა ,,ედინიცას'' ორ ნულს კი ნუ მიუსვამ, სამი დაუსვი და როცა მე ხაზეინი ათასი ფუთის ფასს მომცემს და ამნაირათ 900 ფუთისას ავაკაპნით, ნახევარი შენ და ნახევარი მეო. მწონელ გაფხეკილაძეს ამ სიტყვაზე კბილები აუკაწკაწდება, აიღებს კალამს და წერტილი ა-დან იწყებს ხაზს და ისევ წერ. ა—ს მიაყენებს. ამასთანავე ის სრული დარწმუნებულია ამ გვარ ფიგურის ძალაში, და არავითარ მისტიკურ შინაარსს არ უძებნის მას. მან მშვენივრათ იცის, რომ ერთმა ნულმა ორი კაცის სიმდიდრე გააათკეცა, ორმა გაასკეცა და ასე. ამის შემდეგ ვინმე იტყვის, რომ ჭიათურაში განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს ნულსო? მე მგონია ვერავინ. და აი ბატონებო, წარმოვიდგინე რა ყოველივე ესე ჭიათურის ცის ტატნობზე ნულის დანახვისას, გული დიად მოძღვრებით ამევსო და მადლობისათვის თავი ძირს უნდა ჩამომეწია, მარა ამ დროს კიდეე მეტი საკვირველებანი იხილა თვალმან ჩემმან ცის კამარაში.. მარა ამაზე შემდეგ.

კონტრ-ეშმაკ.



მესტვირული

(ეძღვნის ბათუმელთ)

კარგა ხანია სტვირისთვის
არ წამივლია ხელია,
არ მითქვამს ლექსი ბათუმელ
დელიყანდთ ზურგთა მწველია;
ნუ თუ სამათრახ-კუდონი
აღარ გვყავს, შემოგველია,
ნუ თუ მორჯულდა ჩემდამი
ჩაბარებული მრევლია?
გველს დაავიწყდა გველობა,
კრავათ გადიქცა მგელია
და სტვირსა მათრახ-საკრავი
ერთიც ვერ წაუხელია?!..
კითხვების დასმა ესეთი
სწორეთ რომ საკვირველია:
ჯერ ბლომათ გვყავნან ყმაწვილნი
შტერნი და ტვინებ-თხელია,
გაქუცულ-გაღრეკილები,
მელაზე ულრო მელია,
თვისი ჯიბისთვის, სხვებისა
შამფურზე წამომცმელია,
დღეს ვისაც გმობდენ, ხვალ იმის
შემკობი, მაქებელია,
რადგან ჭრელობა ასეთი
იმათთვის მარგებელია
და მაღლით მომადლებიათ
შუბლისა კანი სქელია...

თუ რათ დაგლახდენ ეს ვაჟნი,—
ეს აბა რა სათქმელია!
არც წინეთ იყვენ, შვილოსა,
პირდაპირ სიტყვის მთქმელია,
ყოველთვის ჰქონდათ საძვრენ-თ
მელა-კუდური ხვრელია,
სიტყვითა, ქვეყნურ საქმეზე
იყვენ ოფლისა მღვრელია,
საქმით კი გველათ ქცეული
მათი არსება მთელია.
ან რა ქნან საცოდავებმა? .
ტვინი აქვთ მეტად თხელია
და როცა ასეთ თხელ ტვინსა
სიცხე დააწვა მწველია,
სრულად რომ გამოჩერჩეტდენ—
განა ეს საკვირველია?! .
აჰა ელია, მელია...
გამრავლდა ხალხი ჭრელია...
კიდევ დავუკრათ, სტვირზედა
ავათამაშოთ ზელია.
ვკითხოთ ზოგიერთს: თავი რომ
ჰგონია უცოდველია,
თავის სიგლახეს რომ მალავს,
რაც ცხადი, უეჭველია,
სხვის თვალში მიკროსკოპითა
ბეწვის რომ მომძებნელია,
თავის ღვანღვალა კუდი კი
შარაზე უდევს გრძელია...
რატომ პირფერობს, მლიქვნელობს,
როგორც კრილოვის მელია,
საეჭვო ხალხის რატომ არს
ფეხების გამლოკველია...
რათ არ რცხვენია ასეთი
გმირობა საცინელია?..
ან რა ქნას, საცოდავია,
ტვინი აქვს მეტად თხელია!!!
აწ დავისვენოთ, გუდასა
ჰაერი გამოელია...
შემდეგისათვას გადავდოთ
რაც დაგვრჩა აქ უთქმელია...
და სათქმელი კი . რამდენიც
გნებავდეთ, ძლიერ ბევრია...
მივუღიღინებთ კარზედა,
ერი იყოს, თუ ბერია,
ვიცი რომ ვერ იქნებიან
ამისთვის მადლიერია,
მარა ქვას სცემონ თავები
ტვინ-წყალა, ცალიერია..

კენტი.

პართენი—ვერ დაიტია ღზვა „ნიჭი''
საბრალო თავის ქაღიმა
და ,,დრამა'' დამაწერია
ჯოჯოხეთურმა ძალამ.
ეშმაკი—მეც ვხედავ ,,დრამის წერაში''
ვერავინ შემოგეცილოს,
და მათრახის კუდს მოგიძღვნი
მომავლის სამაკვეთილოს.

* * *

მრავალ ტანჯულო ქვეყანავ,
ჩემო სამშობლო მხარეო!
აკვანო, კვლავ ასპარეზო
და ბოლოს სასამარეო...
მაგრამ სამარეს, ვინ იცის,
სათ გამითხრიან ტიალსა?
იქნება—სადმე ხევხუვში,
ან ცივ მინდორსა ტრიალსა!..
ან იქნებ წყალთა უფსკრულმა
პირი გაადოს ხარბათა,
როს მნახოს სახე დაღვრემით,
სევდა-კაეშან ჭარბათა,
ჩამნთქას, შორს სამშობლოსაგან
ექსორითადი, ეული...
თან ერთსაც გადიხარხარებს,
სიბრალულს გადაჩვეული;
მისთვის ხომ ყველა უცხოა,
სუყველა გარეგანია:
არვის შობაზე, აღზრდაზე
თავი არ შეუფხანია..
მხოლოთ სამშობლოს მოუკლავს
გულს მოშორება შვილისა,
ნაშობის ნაალალევის,
ჭირნახულ გამოზრდილისა!
სამშობლოს—ვამბობ—იმ წრესა,
ადამიანთა იმ კრებულს,
რომელიც ტრფობას შვილისას
გულში ინახავს, აღგზნებულს!
როს შვილი კვდება, იკარგვის
იმ წრისა ტრფობის საგანი,
ასპარეზს გმირი აკლდება,
ამაგსა ჰკარგავს აკვანი,—
მშობელი ძაძას ჩაიცვამს,
კავებს გაიშლის ხელათა,
ხევხუვსა შეახმაურებს
ან გაიპრება ველათა:
,,ვაიმე, ვაი, მშობელსო''!..
გლოვათ იქცევა მთელათა:
დანაკარგს სტირის... დანაკარგს!..
ცრემლებთ დასდის წრფელათა...

ნ. ზომლეთელი.

უნიჭოების დღესასწაული.

ეგებლიეთ გამახსენდა კრილოვის არაკიდან ერთი ადგილი! სახელდობრ ის ადგილი, სადაც დაუძლურებულ ლომს ნადირები დაეხვიენ დასაწეწათ და წარმოიდგინეთ, თვით ყურ დიდა ვირმაც კი წასთავაზა ერთი წიხლი.

დიახ ვირმაც იშოვა დრო ოდესღაც ძლიერი ლომისათვის ერთი წიხლი ჩაეკრა! აი თუ გნებავთ სრული ბედნიერება მომაკვდავისა!

ჩვენს წაქცეულ სახალხო მოძრაობასაც არა ერთი და ორი ასეთი ,,პატივის მცემელი" გამოუჩნდა, მაგრამ პართენ გოთუამ ამათში ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა და უცებ დაიმსახურა კრილოვის გმირის დაფნები!

,,ერთობის'' ხსოვნას მარხავენ!!!

და მართლაც, განა ერთმა და ორმა უნიჭომ სცადა იმის სიღრმეში ჩახედვა? ერთი და ორი ბინ-

ძური ხელი ჩაერია მის წმინდა საქმეში? ერთმა და ორმა გამყიდველმა ენამ გაილესა წვერი მის დასამ ცირებლათ? რასაკვირველია ბევრმა, ძლიერ ბევრმა, მაგრამ ისე უსირცხვოთ, იმზომ ფლიდათ, იძრიგ დუხჭირათ და უგვანოთ, როგორც ეს ქართული სიტყვის მეწრილმანე პართენ გოთუამ მოიმოქმედა, ჯერ არავის არ უქნია. შორს მხედველობას, გამჭრიახობას, გონების სიფხიზლეს, გულწრფელობას და სხვა ამგვარებს პართენ გოთუასაგან არავინ არ მოელოდა, მაგრამ ასეთ სულიერ-ზნეობრივ გახრწნა-გათახსირებასაც ბევრი ვერ შესწამებდა.

ჯერ კიდევ არ გაცივებულა გული სახალხო მოძრაობისა, ჯერ მცირედ მაინც ბჟუტავს რეაქციის ფერფლში მისამარებული ნაპერწკალი მომავლისა, ჯერ მწვანით არ შემოსილა იმის ურიცხვ მსხვერპლთა შავი სამარეები და აი ქართველი ქამელეონი, შავი ყორანი ჩვენი ცხოვრებისა, უსირცხვილოთ, შიშველათ და მხიარულათ უვლის ფერხულს ხალხის იმედების ნანგრევებზე.

ნუ გაუმტყუნებთ! მას შეძლება მიეცა ერთი წიხლი ჩაეხლა დაჭრილ ლომისათვის და განა ეს მცირე ბედნიერებაა?!!

მე მოგახსენებთ პართენ გოთუას ,,დრამა პასკვილზე'', რომელიც მწყობრათ გაითამაშეს სათავად-აზნაურო თეატრის სცენაზე. განა ვინ არ იცის, რომ ჩვენ დრამატურგები მეტი გვყავს, ვიდრე რიგიანი წერა კითხვის მცოდნენი? ბევრმა მათგანმა გაამდიდრა ქართული მწერლობა თავისი ,,შემოქმედებით'' და ბევრი, ძლიერ ბევრი, კიდევ ფეხმძიმეთ დაიარება, მაგრამ ისეთი უნიჭო რამ, როგორიც გოთუას ,,პარტიის კაცი'' ორც აქ მოიპოვება. მასში მხოლოდ დაცულია ის შეხედულობა სახალხო მოძრაობაზე, რომელსაც სავსებით მოაწერს ხელს ყოველი მართლ-მორწმუნე შავრაზმელი, თუ ის თავის მსოფლ-მხედველობასთან ერთად ზნეობრივადაც გახრწნილ-გათახსირებულია. აქ ყოველად მიუტევებელის, სწორედ ხიობელისებური უსირცხვობით არის მოკორილი ათასგვარი ცილის წამება, იმ პირთა შესახებ, რომლებიც სახალხო მოძრაობის დროს თავსა სწირავდენ და არა ზუბალაშვილების ნაბოძარ ფულებს ითვლიდენ. აქ გოთუასებური იეზუიტობით გატარებულია ერთი აზრი, ანუ უკეთ ვსთქვათ უაზრობა, რომლის მიხედვით განმათავისუფლებელი მოძრაობა, ეს ერთი კაცის ჩხირკედლაობა და პირად გრძნობებზე აშენებული უაზრობაა. აქ გასაშტერებელის ცინიზმით არის მოხსენებული ნამდვილი სახელ-გვარი ზოგიერთ ხალხში ცნობილი და ხალხის საყვარელ პირებისა, რომელნიც დღეს შავი მიწის ქვეშ განისვენებენ და რომ შეეძლოთ სახეში მიაფურთხებენ ჩვენი დროის მეწვრიმალე დრამატურგს, თუ ფურთხისთვისაც შეურაცხყოფა არ იქნება ასეთი ადგილი.

აქ შესაფერის ქალაჩუნა გულლვარძლიანობით არის გადაკრული ქართველ დეპუტატებზედაც, განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებზედაც და მრავალ სხვაზე.

აქვე გამოდის გმირი თავადი, რომელიც მხოლოდ ერთი ამბობს სიმართლეს, არ ღალატობს თავის რწმენას. მთელი სოფელი კი, მთელი გლეხ-კაცობა, ერთ უბრალო ბრბოს წარმოადგენს. პართენ გოთუა თითონაც აზნაური ბრძანდება მთელი თავისი დრამატურგული ავლა დიდებით და რასაკვირველია ქოთანს ყურს საითაც უნდოდა იქით გამოამბამდა! და აი, აკი თავისი გაწამებული ნიჭის ნაყოფს ურცხვად ასაღებს სახალხო მოძრაობის ბელადთა პირით და ამგვარათ ყოველად საზიზღარ აგიტაციას ეწევა. როგორც ზევით მოგახსენეთ, უკეთესს პართენ გოთუას უბადრუკი ნიჭისაგან ჩვენ არაფერს მოველოდით, ვინაიდან, ანდაზის თქმით ,,აქლემის საპალნეს ვირი წელს ვერ გაუმაგრებს'' და ჩვენი სახალხო მოძრაობაც არ არის პართენ გოთუასთანა „ტალანტების'' ხელ წამოსაკრავი.

იმედი უნდა ვიქონიეთ, რომ მომავალშიაც ამ წაქცეულ კერაზე ბევრი ასეთი უვიცი წაიტეხს ფეხს!

ჩვენი გულის წუხილი იმან უფრო აორკეცა, რომ ,,ქართული სცენა'' ასე აშკარათ და დაუზოგველათ სწიხლავს ერთად ერთ იმედს თავისი მომავლისას, როცა ასეთ გარყვნილებას სცენაზე დგამს. ჩვენს არტისტებს, რასაკვირველია იმდენ გაბედულებას და მოქალაქეობრივ გრძნობას ვერ მოვსთხოვთ, რომ არ გამოვიდენ ასეთ სამარცხვინო როლებში. გამგეობა კი თითონ ბ-ნი პართენ გოთუა ბრძანდება. მას ყველაფერი ხელს უწყობს თავისი ნამოქმედარი საჯაროთ გამოიტანოს და გაასაღოს. ეს მით უმეტეს, რომ იასე რაჭველისთანა და სათავად-აზნაურო გიმნაზიის ზოგიერთ ,,მოწაფეებისთანა დამფასებლები ყოველთვის ეყოლება და ტაშითაც დაჯილდოებენ, თუ პატარაების მამებმა სხვა ჯილდო ვერაფერი უშოვეს.

„მასკ.''





კვირიდან კვირამდე ერთობ დიდი დ-ოა, მაგრამ არც ისე დიდი, რაც ქვეყანაზე წერა-კითხვის საზოგადოება არსებობს. ამიტომ დიახაც არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ამ ერთად-ერთ კულტურულ სახალხო დაწესებულებას ქ. თფილისში საზოგადოკრებაზე 50 წევრი ესწრება. ამაზე უმაღლესი განვითარება საქმისა სწორეთ წარმოუდგენელია. საზოგადოებას მალე 30 წლის იუბილე უსრულდება და ადრესის მიმტანიც აღარავინა ყავს. მაგრამ თუ სახეში მივიღებთ საზოგადოების ნაფიც ჭირისუფალთა მოღვაწეობა-ზრუნველობას, იმედია წევრთა რიცხვი კიდევ დიდი ხნით იქნება ეგზომ განსაზღვრული. მიზეზთ ამ მოვლენისა კარგა ხანია საწევრო ფულის სიდიდეს ასახელებენ და რომ მართლაც ეს არის ნამდვილი მიზეზი ამას მოწმობს ის გაბედული მოსაგერებელი პოლიტიკა, ის მწყობრი „ზალპი'' და ის ხმა მაღალი ,,ჰაუ, ჰაუ'' რომლითაც საზოგადოების ,,ვიწრო მუზეუმში'' გამაგრებული ჯგუფი იგერიებს წევრობის მსურველ უბრალო მომაკვდავებს. სწორეთ ახირებულია თქვენმა მზემ მათი ამგვარი თავგანწირული ბრძოლა საწევრო გადასახადის შემცირების წინააღმდეგ.

* * *

მაგრამ არა ნაკლებ ახირებული და სასაცილოა ახლანდელი ,,უპარტიო'' გამგეობის მიერ მოხდენილი რევიზია! შარშან ამ დროს გამგეობამ განიზრახა საზოგადოების წიგნის მაღაზიისა და საწყობის რევიზია. აირჩია თურმე სამპიროვანი კომისია (ს. ფირცხალავა, ფ. გოგიჩაიშვილი და ა. ყიფშიძე) წავიდენ პატივცემულნი პირნი, დაითვალეს რვეულები და წიგნები. აღმოჩნდა დანაკლისი 13899 ცალი (ცამეტი ათას, რვაას ოთხმოც და ცხრამეტი ცალი) რომლის ღირებულება უდრის 4364 მ ნეთს. (ოთხი ათას, სამას სამოცდა ოთხ მანეთს). ისეთი მდიდარი საზოგადოებისათვის, რომელსაც ქ. თფილისში 50 სამ-სამ მანეთიანი წევრი ყავს, დიდს არაფერს შეადგენს, ,,სულ რაღაც ოთხიათას სამასი მანეთი'', მაგრამ წარმოიდგინეთ არც ეს ყოფალა მართალი!

* * *

მაღაზიის გამგის აზრით კომისიამ სწორათ ვერ დასთვალა წიგნები და რვეულები. მართალია პატივცემული ფ. გოგიჩაიშვილი ციფრების მოხელეკაცია და ადვილათ მინისტრებიც ვერ გააცურებენ, მაგრამ წიგნ-რვეულებს ალბათ მტკვერი ეყარა და ყველა ხომ ვერ დაისვრიდა ხელს. ესეც არ იყოს მაღაზიაში რვეულების დათვლას თავისი ფილოსოფია ჰქონდა. წავიდენ, შენ ხარ ჩემი ბატონი, მეორეჯერ საანგარიშოთ. ძნელი იყო მეორეჯერ მტვრიან საწყობში ძრომა, მაგრამ კომისია, სამშობლოს სიყვარულით აღფრთოვანებული, თავს არ ზოგავდა. შესწორებულმა რევიზიამ, მართლაც გაამართლა მაღაზიის გამ ის შენიშვნა. აღმოჩნდა, რომ საზოგადოების მაღაზიას ჰკლებია ,,სულ რაღაცა'' ცხრა ათას ას თექვსმეტი ცალი (9116) ნივთი, რომელიც ღირს ,,სულ რაღაც'' ორიათას ორას ოთხმოცდა ორი მანეთი და წარმოიდგინეთ კიდევ შვიდი კაპეიკი (2282 მ. და 07 კაპ).

მართალია, სამწუხაროდ, აქ საზოგადოების ზარალი შემცირდა, მაგრამ სამაგიეროთ, ამ განმეორებითი რევიზიის შემდეგ საზოგადოების გამგეობამ აღმოაჩინა ბრალდებულნიც, ანუ უკეთ ვსთქვათ დამნაშავენი. ესენი აღმოჩნდენ: მდივანი საზოგადოებისა და გამგე მაღაზიისა ,,სულ რაღაც ორიოდ კაცი'' შემდეგი კვლევა-ძიება დამნაშავეებისა აღარ განუგრძიათ, ვინაიდან ურევიზიო გადარჩათ მხოლოდ გამგეობა.

* * *

სამაგიეროთ აქ უკეთ მეორე საგანს წააწყდა კომისია. თურმე ნუ იტყვით, მაღაზიის გამგეს დავთრებში შეტანილი ჰქონია 2704 მანეთის ფას დადებით გაგზავნილი წიგნები და ამის სანაცვლოდ საზოგადოებას არც ფული მიუღია და არც დოკუმენტი შერჩენია. გარდა ამისა აღმოჩნდა, რომ მაღაზიის გამგეს 1442 მანეთის წიგნი კიდევ გაუცია ნისიათ და საბუთები არ აღმოჩნდა. ერთი სიტყვით სრული ჯამი ამ დანაკლისისა შეადგენს ,,სულ რაღაცა'' ოთხი ათას, ას ორმოცდა ექვს მანეთს. ამგვარათ სრული ზარალი საზოგადოებისა შეადგენს ,,სულ რაღაცა'' ექვსი ათას, ოთხას ოცდა ცხრა მანეთს და სამ კაპეიკს. ეჭვს გარეშეა, რადგან ეს მეორეთ შემოწმებულია, კაპეიკებში აქ არავითარი შეცდომა არ იქნება. პატივცემულ გამგეობას ეს ზარალი არა თუ აღმოუჩენია. უკვე შეუტანია ზარალად გასული წლის საზოგადოანგარიშში ღმერთო ჩემო, რამდენი შრომა ამ გამგეობას გადასწყდა!!.

* * *

და ჩვენი უმადურები კიდევ ხელ ახალ რევიზიას თხოულობდენ. მართალია თითონ აპირობდენ ამ რევიზიის მოხდენას, მაგრამ ხომ გამგეობის წევრებიც და თვით ძველი, ორგზის განამწარები, სარევიზიო კომისიაც შეწუხდებოდა?? ან კი რაღაა საანგარიშო რომ აღარ ვიცით? იმდენმა წარჩინებუ

ლმა კაცმა ორჯერ გადათვალა „სულ რაღაც“ ცხრა ათასი წიგნი და ნუ თუ კიდევ შესცდებოდათ? აქ მხოლოდ და მხოლოდ ერთი ეჭვი შეიძლება კაცს დაებადოს. სახელდობრ ისა, რომ თუ პირველ და მეორე რევიზიას შორის ასეთი, «მართალია დიდი არაფერი,» მაგრამ მაინც განსხვავება აღმოჩნდა, რატომ არ შეიძლება მეორესა და მესამე რევიზიათა შორისაც დარჩეს რაიმე თვალსაჩინო განსხვავება?? და თუ მეორე რევიზიის დროს 4146 მანეთის ახალი ზარალი აღმოჩნდა, რატომ არ შეიძლება ახალმა რევიზიამ კიდევ აღმოაჩინოს ერთი ან ორი ამდენი? ვინ იცის შეიძლება ჩვენი გამგეობაც გაყიდულია, შეიძლება მდივანის მხოლოდ ასლია იქ რომ ბაასობს და ორიგინალი კი ფას დადებით ვისმე მიყიდეს? შეიძლება მუზეუმშიაც არ არის საქმე რიგიანათ?

* *
*

და წარმოიდგინეთ, ,,გამგეობას ისეთი პატარა სადგომი აქვს მუზეუმ-ბიბლიოთეკისათვის, რომ კაცს მოტრიალება გაუჭირდება. ერთ მშვენიერ დღეს **შესდგომიან საინვენტარო წიგნების შედგენას,** გადმოულაგებიათ ნივთები, გაუშლიათ და დარწმუნებულან*) რომ აქით უფრო წახდებოდა ნივთები და თავი დაუნებებიათ. იქვიანი და არა „მორწმუნე'' მკითხველი აქაც ათას კილს გამოსახავს; იტყვის თითქო ამდენ ხანს ინვენტარის წიგნის უქონლობა კარგს რასმე არ დამართებდა მუზეუმ წიგნთსაცავსო, მაგრამ წერა-კითხვის საზოგადოება ხომ ეროვნული დაწესებულება და აბა ვინ გაბედავს იქ ბოროტ-მოქმედების ჩადენას? ესეც არ იყოს გამგეობამ მხოლოდ იმ დროამდე გადასდო ინვენტარის შედგენა, ვიდრე საზოგადოება ახალ შენობას აიშენებს და ხალვათად მოეწყობა. ეს კი, თუ წიგნის მაღაზიის საქმე ასე პროგრესიულად წავიდა, სულ ახლო მომავალში იქნება შესაძლებელი დიდი რამეა . სულ რაღაც'' ორ სართულიანი სახლის აშენება მუზეუმისა და წიგნთ საცავისათვის?

მარეხი.

დეკეშები

(გურიის სსაგენტო).

ლანჩხუთი აგვისრულდა დიდი ხნის ნატვრა. ვაკურთხეთ საავთმყოფო. განზრახვაა გაიხსნას არშიყულ ავათმყოფობის განყოფილება. კურთხევას მოყვა ნადიმი. ნადიმის გამმართველთ „ინტელიგენტი“ ქალები წყევლა-კრულვით იხსენიებენ დაუპატიჟებლობისათვის.

*) „ნეტარ არიან მორწმუნენი!“
ეშმაკი.

ჭანჭათი. გაზეთები არავისა აქვს გამოწერილი, მაგრამ ეს იმისი ბრალია, რომ თფილისიდან დამტარებელი არ გამოგვიგზავნეს.

ოზურგეთი. სამოქალაქო სასწავლებელთან არსებულ სამეურნეო განყოფილების ახალმა მასწავლებელმა რედისკაძემ სამსახურს თავი გაანება და ისევ ზუგდიდისაკენ შეაყოლა. ეძებენ მსურველს. სამოქალაქო სასწავლებელში 372 თავისუფალი ადგილია ყურიანთათვის.

ძიმითი. აქაურ მემამულის პართენ გოთუას პატივ-საცემლად და მადლობის გასაცხადებლათ შედგა დეპუტაცია, რომელიც იახლება თფილისში და თავის უღრმეს მადლობას გამოუცხადებს „პარტიის კაცის“ ავტორს. დეპუტაციაში შედიან: კ. ნ. გურიელისა-დადიანი, თავ. ტელემაკ და ივანე დ. გურიელები, ნიკოკი თაყაიშვილი, და თ. ვარლამ ერისთავი.

ბუკნარი. (გურიის ბანძა). ქურდობამ შესამჩნევათ იკლო. დღე და დამის განმავლობაში მოიპარეს მხოლოთ: 16 ქათამი, 4 ყვერული, 3 ინდოური, 6 კვატა, 9 ბატი, ერთი ჭაკი ცხენი, ერთ ხარს ააცალეს მარტო ბეჭი. ქურდების საძებრათ ენერგიული ზომებია მიღებული.

ერკეთი. ტარიელ მკლავაძეებს ყოველ დღე ხუელი და თავ-პირის მტვრევა აქვთ, მრავალი ღვინო და სისხლი დაიღვარა. მიზეზათ ასახელებენ ირკას.

ინტერვიუ პროვინციაში.

მღვდელ მელიტონ ყვანიასთან.

„ქვეყნათ მუდმივი არაფერია-“ო, ამბობს მეცნიერება. მეც თქვენმა მონა მორჩილმა, შევცვალე ფორმა წერისა და ინტერვიუ დავიწყე. განა ჩემდამი რწმუნებულ რაიონში არ არიან ღირსეულნი პირნი?! არიან და ძლიერ ბღლომათაც არიან! პირველათ რასაკვირველია მოძღვარი ყვანია მოვინახულე. ცუდი დარი იდგა. აღმოსავლეთის ცივი ქარი გულ შემზარავათ ზუზუნებდა და ჰაერში უგზოთ ძონავარდე შავი ღრუბლები დედამიწას თითქოს მოსპობას ემუქრებოდენ. ქუჩებში არავინა ჩნდა. ავიღე მათრახი, მოვისხი ჩემი ეშმაკური ქურქი, რომელიც საჭიროების დროს ათას ფერად იქცევა ხოლმე და სოფელ **მარანში,** საქალებო სკოლის წინ გავჩდი. დავურეკე ზარი. თითქოს საგანგებოთ სტუმრის მისაღებად მომზადებული, მომღიმარის სახით მომეგება მოძღვარი

— ეძიებდე და ჰპოვებთო, ამბობს სახარება; ძლივს გავხდი ღირსი თქვენის ხილვისა, ბატონო პროვინციელო ეშმაკო! მობრძანდი, მობრძანდი გეთაყვა, არ გაციჯდეთ!..

შეველ.

— დაბრძანდით გენაცვა: ჩემი არას დროს და არას შემთხვევაში არ მოგერიდოს მე თქვენთვის ისა ვარ, როგორც რუსები იტყვიან ხოლმე: а .а .а.. ის „Свой человѣкъ“-ო, ჰო, „свой человѣкъ“ მართალია მე მღვდელი ვარ, სამღვთო სჯულის მქადაგებელი მასწავლებელი, მაგრამ მე იმ თავიდანვე თქვენს მოძღვრებას ვემსახურები და ვასრულებ კიდეც რიგიანათ

— სასიამოვნოა, სასიამოვნო! მრცხვენია რომ ასეთი „კოლეგა“ მყოლიხართ და მე კი არაფერი მცოდნია... უკაცრავათ ბატონო, თქვენ, ?გონი, სამ სახელს ატარებთ: მელიტონს, ლევანს და ისიდორეს: რომელი მათგანით მოგმართოთ?

— მელიტონ ტარიელიჩ—აი ჩემი სახალხო სახელი; ლევანი ჩემი სასკოლო სახელია, რადგან მცირე წლოვანი ვიყავ, მგონი 25-სა, როცა სასულიერო სასწავლებელში მიმაბარა მამა ჩემმა და ჩემი უმცროსი ძმის ლევანის მეტრიკული ამოწერილობა წარვადგინეთ. მესამე სახელი - ისიდორე ვიწოდე მაშინ, როცა მღვდლათ აღვიკვეთე.

— მესმის მესმის!!! მართლა, რა ჭკვიანი, მამაო, იმ საქმის, რომელიც თქვენ 6 იანისს შკოლაში ქეიფის დროს მოგიხდათ? ავერ რამდენი ხანია ჟურნალ გაზეთებს თვალყურს ვადევნებ, და ვერა გავიგე რა.

— ოი დასწყევლოს ცისა წმინდა გიორგიმ, ვინც მე ეს საშინელი ცილი დამწამა! ყმაწვილო, მაგ ოხერმა საქმემ ?აკიჩინა თავში თეთრი. რამდენი სირბილი, ხარჯი და ათასნაირი ტანჯვა წვალება გამოვიარე, რომ ეგ საქმე გამოეძია აბაშის სამოსამართლო გამომძიებელს, ბოქაულ გეგენავას. ტყავი გამძვრა, ტყავი, მთელი ჩემი შემოსავალი თითქმის მაგას მოუნდა. იმას, ამას და, როგორც იყო, ეშმაკმა არ დამიკარგა ჩემი სიმართლე.

— პასუხის გებაში ხომ მიეცი ის უგვანო ცილის მწამებელი?!

— ღმერთმა დამიფაროს!! მე მას დანაშაული ვაპატივე; ხომ გაგიგონია ქრისტეს სიტყვები: „უფალო მიუტევე, რამეთუ არა იციან რასა იქმოდიან.“ მე კიდევაც ვლოცულობ მათთვის.

— ბოროტი ენები ლაპარაკობენ თითქოს თქვენ მონაზონი და შედავითნე გაგელახოთ.

— სრული ჭეშმარიტებაა. ხომ იცი კაცის გული აღელვებულ ზღვის ტალღებსა ჰგავს. გალახვა რაა?? ხომ გაგიგონიათ ირანის მფლობელი შახი ცოცხლათ მარხავდა ურჩებს?! საკურთხს შევიქცეოდი ეკლესიაში და უგნურმა მაშინ დაიწყო გვა საყდრისა. აბა, შუბლში ხომ არ ვაკოცებდი?

— მართლა, საყდრის ხსენებამ მომაგონა, მგონი ხუთი მანეთი შემოუწირავს ვიღაც გოგიშვილს და სხვა ფულებიც ყოფილა მგონი; რას მომხმარდა, საყდრის აშენებას ხომ არა?

— რას უნდა მოხმარებოდა? ეკლესიას ისედაც საკმაო სიმდიდრე აქვს. მე, როგორც მოგახსენეთ, ამდენი დანახარჯი ვარ და ნუ თუ ამაზედაც რამეს ამბობენ? ოხ, რომ იცოდეთ, ბ პროვინციელო ეშმაკო, თუ რა უგნურ ხალხში მიხდება შრომა, სწორეთ შეგებრალებით. წარმოიდგინეთ რას არ ვშვები მაგათ გულისათვის; ვასრულებ ყველა გაჭირვებულთა თხოვნას, ვინც კი მოვა ჩემთან. ეხლა აი ეგ საყდარი მინდოდა გადამეტანა „უჩასტკის“ გვერდით. ვფიქრობდი: იქ ახლო ვიქნები სახლთანაც, გლეხები ხშირათ დადიან ბოქაულთან და ჩემთანაც შემოვლენ და ილოცავენ მეთქი. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ეხლაც გამოჩნდა ერთი ურჩი და ხელი შემიშალა ამ კეთილ განზრახვაში.

— ძლიერ ვწუხვარ, რომ ვერაფრით გეხმარები. ეხლა კი დროა წავიდე. ბოდიშს ვიხთი ამხანაგო ისიდ... უკაცრავათ მელიტონ! ჩემი უდროვო მოსვლით შეიძლება საქმეს მოგაცდინე.

— რას ამბობთ, რასა! პირიქით მე ძლიერ მოხარული ვარ! კაცი არ მეკარება და თქვენ მაინც შემოიარეთ ხან და ხან, რომ გადმოგცეთ ჩემი მწარე ნაღველი.

— ვეცდები მეგობარო, ვეცდები. ჩამოვირბინე კიბეზე და გამოვქანდი სახლისაკენ.

პროვინციელი ეშმაკი.

წერილები რედაქციის მიმართ

—

ბ. რედაქტორო! გიორგი, ?ომაი? თა ის გამართლებას თხოულობს და ეხლა მე ?ამართლებ, ვინაიდგან იმის შემდეგ, რაც რომ თქვენს პატივცემულ გაზეთში გამოქვეყნებულ იქმნა იმი?ი მოქმედება მას შენდეგ ისე აღარ მოქცეულა და ?ამ?რთლ?ებ?დ?ეკ.

მხოლოთ სამედიტორო სამართალში მე არ გამოვდივარ, რადგანც მაგასთან საფ?ოხ?ოს მომელის. *)

ღ?რიბი.

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ აცნობოთ ერ. ?ველიძეს, რომ მე თანახმა ვარ სამედიატორო სამართალზე და ?ენის მხრით ვას ხელებ: ვასო ნოდიას და სიმ?ონ ორ.?ველიძეს.

ტლინკ.ძე.

—

სიამოვნებით ?ეთანხმები ბ ნ ?. დეკ?ძეს სამედიატორო სასამართლოზე. მე ?ეწერდი, რომ თქ?ენ გადაეყენებინეთ მასწავლებელი და მის ადგილას თითონ წამოსაუ?ადეთ. თუ ამ ფაქტს შემოწმება ?ეპ?ერება, დაე შეამოწმონ თქვენმა მედიატო?ებმა. ?ენის მხრ?თ არავის ?ასახელებ?, რადგან ?ენდობი თქვენ მ?ერ დანიშნულ პირებს. მ?ოლ?ოდ გ ნაჩენი ?ნ?ა გამოცხადდ?ს „მ?თრახ-სალამურში“, რომ მკითხველებმა გაიგონ სიმართლე.

№.

---

*) „მათრახ-სალ მურის“ რედაქცია უზომო საყვედურს უცხადებს თავისს შემოხვევით ცნობის მომწოდებელ «ღარიბს» და სპობს ამ საგანზე კ?ათს.

ბ-ნო რედაქტორო! აცნობეთ „კიკოლა ბიჭს“, რომ რადგან მას ჩვენი „ნდობა არა აქვს“ თანხმათ მისი წინადადებისა ვასახელებთ ჩვენის მხრით მედიატორებათ ბ. ექიმ ბ. კიკალიშვილს და ხონის საოსტატო სემინარიის მასწავლებელს გ. ბურჭულაძეს. მხოლოდ მოვალეთ ვრაცხთ თავს გაცნობოთ, რომ მედიატორებმა უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქცევონ თქვენს „მკსტვირულს“. განაჩენი უნდა გამოცხადდეს „მათრახი და სალამურში“.

დიდი-ჯიხაიშის ქალნინ-აღთიაქის კომიტეტი: 1, მღ. გერასიმე ნუცუბიძე. 2, კოსტა ვაშაკიძე. 2, ან. ნუცუბიძე.

—

პატივცემულო რედაქტორო! თქვენ ჟურნალ „მათრახ-სალამური“-ს 23 №-ში მოთავსებულია ხაშურიდან ლექსი, სადაც მოხსენებულია მითომ მე „საშიშარი სენი“ ე. ი. „ენის დაგრძელება“ მჭირდეს. რადგან ეს ლექსი პირად მტრობაზეა აშენებული და ჩემი ენით-კი არავისთვის არავითარი ვნება არ მიმიყენებია, სიმართლის გამოსარკვევათ ვიწვევ სამედიატორო სამართალში ლექსის ავტორს „გ ლი“-ს. ჩემი მხრით მედიატორებათ ვასახელებ დორეტი მელქაძეს და დიმიტრი მეტრეველს.

სანდრო პაპუნაშვილი.

—

ბ-ნო რედაქტორო! როგორც ვხედავ პატივცემული სანდრო პ პინაშვილი სამედიატორო სამართლის გუნებაზე მოსულა. ნათქვამია „მტყუანს კარამდე მისდიეო“ და მიუხედავათ იმისა, რომ ყველა ჯურის ადამიანებთან სამედიატორო სამართალი არ ვარგა, თანხმობას ვუცხადებ და ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ აფრასიონ ებანოძეს და სოსო ხუციეს, ხოლო რწმუნებულათ გუკა კურტანიძეს.

სამედიატორო სასამართლის განაჩენი უთუოდ „მათრახ-სალამურში“ უნდა გამოცხადდეს.

გ—ლი.

სამტრედია. ყველა მამასახლისები დასცვალეს. რადგან გამოსარჩენი ადგილი დაეკარგათ, ამისთვის სახელმწიფო დუმის დეპუტატ ტიმოშკინს შემდეგი შინაარსის დეპეშის გაგზავნას უპირობენ: „დიდებულო მამულისშვილო! იშვამდგომლე სახელმწიფო დუმის წინაშე „პენსია“ დაგვენიშნოს. თუ ეს არ მოხერხდეს ითხოვე არ მოხსნან სამხედრო წესები, გაადიდონ „სტრაჟნიკთა“ „პოსტები“ და იქ მაინც მიგვიღონ, თორემ შიმშილის მსხვერპლი ვხდებით.

—

ახალსენაკი. სენაკის სამკითხველოში
შევდივარ ხოლმე ძვირათა,
(რამეთუ ვშიშობ, არავინ
გადამეყაროს ჭირათა!)
არვინ დამზილოს მუშტებით
ზურგად თუ თავ-ცხვირ პირათა;
(არ მინდა თქვენი ჭირიმეთ
სიცოცხლე გასაწირათა!)
ერთხელ, აქ მოარშიყეებს
შევები პირის პირათა
და სამკითხველოს გამგესაც
მათრახი ვუძღვენ ქირათა,
რომ არღვევს წესიერებას,
მკითხველებს აგდებს ჩირათა.
გუშინაც გახლდი, ეშმაკ ი!
ოჰ, ჯოჯოხეთის დიდება!!!
იქ ნახულ განაგონისგან
გული არ დამემშვიდება.
პარასკეობის ბაზარიც
ეგრე არ აგვიყვირდება:
სიცილ-ხარხარი, სიმღერა,
მუშტ-კრივიც გაგვიხშირდება.
სადგურის კასირს არ მკითხავ?
რა უპირს ჯერ ძლიერია,
თითო შაურის ამარა
არ დარჩეს სულ მშიერია.

სულ სხვა ფაჩუ.

—

სამტრედია. რადგან სიცივები მხოლოთ ერთი თვეა დაიწყო, რკინის გზის სკოლის დროებით ბა-

ტონ პატრონებს განუზრახავთ სასწავლებლის შენობა მაისსს უკანასკნელ რიცხვებიდან სექტემბრამდე გაათბონ. მანამდე კი მოსწავლეებს სიცივისაგან წერის დროს თითები არ წაძვრეს ,,ოთურმას'' ათამაშებენ.

—

ს უ ფ ს ა.

«რაც მოგვა დაკითაო
ყველა შენი თავითაო».

სულით და გულით მსურს ჩემ „საბლაღოჩინოში" სამთრახო გვამები ნაკლები მყავდეს, მაგრამ მათი რიცხვი თან და თან მატულობს. ს. მიქელგაბრიელში გიახელი. უსამართლობის შესატყობათ ეგრეთ წოდებულ სასამართლოს კარებს მივადექ. ზედ განცხადება იყო მიკრული შემდეგის წარწერით: ამაში არის კნიაზი ფაღავა და ვინც მას მორიდებით არ მოეპყრობით 123 მუხლის ძალით დაისჯებითო. ვიფიქე, რაც მომივა მომიკიდეს, თუ ის ,,მუხლის ძალით'' დამსჯის, მე მათრახის ძალით მეთქი. შევედი შიგ და მოვახსენე თუ ვინც ვიყავი. მან საზარლათ დამიყვირა: არ იცი რომ მე კნიაზი ვარ? როგორ გაბედე ნება დაურთველათ შემოსვლაო და წამოიწია. ეს არის რაცხა , მუხლის ძალაა'' მეთქი და სამ-ოთხჯერ გავკარი ჩემი მათრახი და გამოვედი. შეიქნა ერთი აურ ზაური: არ გაუშვათ, ესროლეთ, დეიჭირეთო, მაგრამ მე უკვე მოვკურცხლე. გზაში გავიგე რომ ბ-ნი ფაღავა ვინც მას კნიაზს არ დაუძახებს და დიდის მორიდებით სალამს არ მისცემს 123 მუხლის ძალით შვიდ დღეს სოფლის ნაობახტში აცხოვრებსო.

აქედგან სუფსაში ამოვედი. ერთი პატარა მოწაფე შემხვდა, გადაეკიდა საწიგნე და სახლში მირბოდა, ვკითხე:

რატომ შკოლაში არ მიდიხარ მეთქი?

— ბ-ნო შკოლაში ვიყავი, მაგრამ მასწავლებელს ეერაფერი ვერ მიუხვდი და რა ვქნა. იგი «ფრანცულს" ლაპარაკობს, ჩვენ მისი არ გაგვეგება და მას ჩვენნო.

გავეშურე შკოლისაკენ, შევედი შიგ და ვნახე რომ მართლაც მასწავლებლად ვიღაც რუსის ქალი გამოუგზავნიათ, რომელსაც ქართული ოტის ოდენაც არ გაეგება. დაეწყვრიტვია მოწაფეები სტოლებზე სალდათებივით და ეუბნებოდა -это и это а, учитесь скорѣй-"ო გამახსენდა ნუცას სკოლა, ვკითხერა ნაირად შეგიძლიათ თქვენ ასწავლოთ პირველ დაწყებითი შკოლაში, როდესაც ქართულის არაფერი გაეგებათ – მეთქი, .меня послали съ той цѣли чтобы обрусѣть грузинскихъ дѣтей-"ო. „грузирскій языкъ уже вышелъ изъ моду-"ო. მადლობა ღმერთს, «სიბერის დროს სიქაჩლეს მოელოდეო» რომ იტყიან სწორეთ ეს არის.

—კასიო.—

დ ხაშური. ხაშურში უკვე მოვიდა თოვლი და ღამ ღამობით კიდეც ყინავს, მაგრამ მიუხედავათ ამისა აქაურ მცხოვრებლებს მაინც დიდი სიცხე ადგათ. საქმე იმაშია, რომ ამ ჟამათ აქ დიდი ბატონები,— ,,აცენკა'' (ძველი და ახალი) მძინვარებს, რამაც ძალიან სიცხე მისცა ყველას. ბატონებს ჯერჯერობით არავინ უმსხვერპლია, მაგრამ როგორც ამბობენ მსხვერპლი აუცილებელია, თუ კარგათ ,,მობოდიშების'' გარდა ზოგმა მეტიც არ შესწირა აქაურ სასწაულთ მოქმედ ხატს. მცხოვრებლების უმეტესობა, რადგანაც ქანქარზე მწყარალათ არიან:--ხარს, ძროხას, ღორს და სხვა ასეთებს სწირავენ; ხოლო კისაც ეგეც არა ყავს, ისინი ალბათ საკუთარ ტყავს შესწირავენ...

სხვა ყველაფერი ჩვეულებრივია. არა ჩვეულებრივი მხოლოდ ის მოხდა, რომ მედიატორეებმა—ბ.ბ. ავიმონ მანჯავიძემ და პროკოპი კალატოზიშვილმა „მიუდგომლობა" მიდგომაზე შეცვალეს და თავიანთი ამრჩევლების თხოვნით ნახევარი წლის განმავლობაში, არც ერთხელ არ დაესწრენ სამ. სასამართლოს სხდომაზე რითაც გააუქმეს მოწინააღმდეგეთა შორის დადებული ხელშეკრულობა, ამან კი ორი უმანკო მსხვერპლი შეიწირა...

ორივენი ღირსნი არიან თქვენი ყურადღებისა,
რომ ამგვარათ შეიგნონ
თვისი მოვალეობა,
და აღარსად გაბედონ
ამგვარი „მსაჯულობა".

ახლად გაეშმაკებული.

—

ს. ხცისი. ამ დღეებში აქ რაღაც უცნაური ჭირი გაჩნდა, რამაც მუსრი გაავლო მსხვილსა და წვრილ ფეხობას. ადამიანებზეც ცუდათ მოქმედობს. სოფლის „მკითხავები" ამის მიზეზათ ხატს ასახელებენ, „სასწაული" (ქუმსი მაღრაძე) „გედავებათ;" საწირავს მოითხოვს თქვენგან 300 (სამას) ქანქარსო და თუ დროზე არ შესწირეთ—განრისხდება და ადამიანის მსხვერპლიც აუცილებელიაო. ჩვენც, რაღას ვიზამდითო? შევსწირეთ რაც რომ გაგვაჩნდა, მსხვილ-ფეხ-წვრილ ფეხობა და ზოგმა საკუთარი ზურგის კანიც, მაგრამ მაინც არაფერი არ აუთავდა.

გთხოვეთ, პატივცემულო ეშმაკო, რომ გაგვიწიოთ დახმარება და ერთი მათრახი თქვენც შესწიროთ თქვენის მხრივ, იქნება ამით მაინც გვეშველოს რამე.

მ.სივე.

—

მათრახის ფოსტა.

სადმე. ს ა შ ა ტ ე რ ე ნ ტ ი ე ვ ს. თქვენი ლექ ები არ დაიბეჭდება.

ჭიათურა. გ ე ო ს. არ დაიბეჭდება.

ჭიათურა. კ. გ უ ბ ე ლ ს. რეცენზია არ დაიბეჭდება.

გუგი. გ ა ბ ე დ ულ მ ე თ ვ ლ ყ უ რ ე ს. არ დაიბეჭდება. ახალი არაფერია.

ჩოხატაური. გ ა ნ ნ დ ი ა შ ვ ი ლ ს. არ დაიბეჭდება.

ხონი. ც ხ ე ნ ი ს წ ყ ლ ი ს პ ი რ ე ლ ს. მოგვონებთ, რომ „მოგონება" არ დაიბეჭდება.

ბათუმი. ᲥᲐ. „ბათუმის გმირებს“ არ დაიბეჭდება.

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. ვ. ᲞᲐᲠᲮᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ. არ დაიბეჭდება.

ᲡᲐᲓᲛᲔ. ᲝᲠ. ᲡᲝᲤᲚᲔᲚᲘ. უსახელოა.

ᲮᲚᲜᲘ. Ა. ᲒᲐ—ᲩᲘᲫᲔ. თქვენი ლექსი ასე იწყება:

„აგერ მუშა ატუზული
ერთ-დად დუქნის წინდამა
შიმშილითა კუჭი ეწვის
აღარ იცის რა ქნას ბედშავმა“.

მიდით და შეეხვეწეთ: ყველაფერი ქნას, ოღონდ ასეთ პოეტურ ნაწარმოებს ნუ გამოგვიგზავნის.

ᲑᲔᲥᲚᲘᲔᲗᲘ. Ს. Ბ. სამწუხაროა, თებერვლის ამბავი ახლა რომ გაგხსენებიათ. არ დაიბეჭდება.

ᲕᲣᲚᲐᲨᲘ. ᲙᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ. არ დაიბეჭდება.

ᲮᲐᲨᲣᲠᲘ. ᲤᲝᲜ-ᲢᲔᲤᲝᲡ. სამწუხაროთ ვერ ვბეჭდავთ.

ᲮᲚᲜᲘ. ᲮᲔᲙᲐᲙᲣᲜᲐᲡ, რამდენიც უნდა უკაკუნოთ რედაქციის კარები არ გაიღება.

ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲘ. ᲝᲜᲐᲕᲐᲠᲡ. ვკადრებთ ვარს.

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ. ᲛᲬᲣᲠᲡ. „კახეთის მთათა მწვერვალებს
მოკრძალვითა ძლივს ვუსწორებ თვლებს“.

აქედანვე ემჩნევა ხალხურ თქმულებას სრული სიბრძნე: „არა შეჯდა მწყერი ხესა.....

დ. ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐᲨᲘ ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ Ე. Ტ. ᲚᲝᲠᲘᲡ-ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕᲘ
ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლოს.

1910 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚ ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲖᲔ

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს ავვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ

ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲗ ᲒᲐᲔᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲒᲣᲚᲘ

ᲐᲛ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲨᲘ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ: ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ, ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘ, ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲝᲠᲜᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲡᲔ ᲡᲐᲘᲜᲐᲠᲒᲛᲨᲘ.

ᲬᲘᲒᲜᲘ 300 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲐᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲛᲝᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲦᲘᲠᲔᲑᲐ 1 Მ.

ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ **ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲗ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲘᲕᲜᲘᲡᲐᲛᲓᲔ.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ 2 Მ. 50 Კ. დანარჩენი 2 Მ. 50 Კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გაუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ: ᲡᲘᲐᲜᲘ, **ᲑᲚᲘᲪᲒᲫᲔ, ᲒᲐᲜᲯᲘᲡ-ᲯᲐᲠᲓᲔᲚᲘ, ᲔᲨᲛᲐᲯᲐ, ᲒᲝᲚᲓᲔᲛᲐᲠᲐ, ᲩᲝᲛᲓᲔᲗᲔᲚᲘ, ᲗᲣᲠᲓᲝᲡ ᲨᲐᲠᲔᲚᲘ, ᲐᲡᲐᲫᲘᲡ, ᲙᲔᲜᲢᲘ, ᲓᲔᲩᲮᲣᲛᲔᲚᲘ, ᲫᲚᲐᲥᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲨᲐᲢᲜᲘ, ᲢᲐ. ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲣᲮᲐᲫᲔ, ᲠᲣᲨᲐᲒᲔᲚᲘ, ᲢᲣᲥᲣᲡᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲤᲝᲜ-ᲢᲔᲤᲝ, ᲭᲣᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲨᲮᲜᲯᲝᲚᲐ** და სხვანი.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲣᲠᲐᲗ ᲦᲘᲠᲡ 5 Მ. თვიურათ 50 Კ. ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 10 Კ

ᲤᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐ�გᲖᲐᲕᲜᲐ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲐ: Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома“ Василію Карамановичу Болквадзе.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝ-ᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡᲘ ᲐᲛᲑ. „ᲨᲠᲝᲛᲐ“ ᲠᲣᲡ. Ქ. № 8. რედაქტორ-გამომცემელი Დ. ᲢᲣᲠᲐᲒᲘᲚᲘᲫᲔ.